იჯარის ხელშეკრულება

ქ.თბილისი 01 მარტი 2023 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ერთის მხრივ შპს მეთანი ს/კ 406090091, წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ქუტაშვილის სახით (შემდგომში - მეიჯარე) და მეორეს მხრივ ი/მ მარიამ სომხიშვილი (პ/ნ 01027067253) სახით (შემდგომში - მოიჯარე), ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მეიჯარე“ გადასცემს „მოიჯარეს“ სარგებლობაში მის საკუთრებაში არსებულ 38კვ.მ ფართს რომელიც მდებარეობს - ქ.თბილისში ვაზისუბნის IV მ/რ, I კვარტალში (თ. დავითაიას ქუჩა 5), საკადასტრო კოდი: 01 17 07 031/082 01.02.05.

2. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

2.1 მხარეთა შეთანხმებით საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 450 აშშ დოლარის / ექვივალენტით ლარში, ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშსწორების დღეს განსაზღვრული კურსით. (დღგ-ის ჩათვლით)

2.2 „მოიჯარე“ ანგარიშსწორებას განახორციელებს შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი:

ბ) საიჯარო ქირა გადაიხადოს მიმდინარე თვის 5 რიცხვამდე.

3. მეიჯარის უფლება-მოვალეობები

3.1 „მეიჯარე“ უფლებამოსილია:

ა)ნებისმიერ დროს შევიდეს აღნიშნულ ფართში და შეამოწმოს მისი მდგომარეობა.

ბ) მესამე პირთან, საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით არ დადოს ისეთი გარიგება, რამაც შეიძლება გააძნელოს ან შეუძლებელი გახადოს „მოიჯარის“ მიერ ამ ხელშეკრულების შესრულება;

გ) მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, რის შესახებაც იგი ვალდებულია 2 (ორი) თვით ადრე წერილობით შეატყობინოს „მოიჯარეს“;

3.2 „მეიჯარე“ ვალდებულია:

ა) გადასცეს „მოიჯარეს“ საიჯარო ქონება შეთანხმებულ ~~ვადაში~~ მდგომარეობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის;

ბ) ხელი შეუწყოს „მოიჯარეს“ ყველა საჭირო საბუთის მიღებაში, რისი საჭიროებაც „მოიჯარეს“ წარმოეშობა იჯარით აღებული ქონებით სარგებლობისას.

4. მოიჯარის უფლება-მოვალეობები

4.1 მოიჯარეს უფლება აქვს:

ა) პასუხი არ აგოს საიჯარო ქონების ისეთი ~~ცვლილებების ან~~ გაუარესებაზე, რაც გამოწვეულია ხელშკერულებით გათვალისწინებული მართლზომიერი სარგებლობით;

ბ) მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, რის შესახებაც იგი ვალდებულია 2 (ორი) თვით ადრე წერილობით შეატყობინოს „მეიჯარეს";

4.2 „მოიჯარე" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ბ) უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა. თუ მისი მიზეზით მიადგა ზარალი მეიჯარეს ან მესამე პირს, ვალდებულია აუნაზღაუროს.

4.3. მოიჯარემ დაათვალიერა იჯარით ასაღები ფართი და თანახმაა რომ იჯარით აიღოს.

5. საიჯარო ქონების გადაცემა

5.1 საიჯარო ქონება „მოიჯარეს" გადაეცემა ხელშკერულებაზე ხელმოწერის დღიდან;

5.2 საიჯარო ქონების დაბრუნება ხორციელდება ხელშეკრულების შეწყვეტისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მეშვეობით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 11 (თერთმეტი) თვის ვადით. თუ აღნიშნული ვადის გასვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე არცერთი მხარე განაცხადებს წერილობით განზრახავს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მაშინ წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ყოველი მომდევნო 11 (თერთმეტი) თვის ვადით;

6.2 „მეიჯარეს" და „მოიჯარეს" უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალხმრივად ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება წინასწარი, 2 თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

6.3. მეიჯარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მოიჯარე გადააცილებს პუნქტი 2.2. ბ) -ში აღნიშნულ ვადას ერთი თვით.

7. ცვლილებების და დავების გადაწყვეტის წესი

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით და ფორმდება მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. აღნიშნული შეთანხმებები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

7.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება ურთიერთშეთახმების გზით;

7.3 თუ წამოჭრილი დავის გადაწყვეტა შეუძლებელია შეთანხმებით, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

8. სხვა პირობები

8.1 წინამდებარე ხელშკერულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ინახება მხარეებთან.

8.2. მხარეებს უფლება აქვს მოითხოვონ დამრღვევი მხარისაგან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს გადახდა 0,5 პროცენტი.

9. მხარეთარეკვიზიტები

„მეიჯარე“	„მოიჯარე“
შპს მეთანი ს/კ406090091	ი/მ მარიამ სომხიშვილი (პ/ნ 01027067253)
მის: თბილისი, წულაძის ქ. #15	მის: თბილისი, ვარკეთილი-3 მე-3ა მ/რ კორ. 346
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“	ბინა 30 (იურიდიული მის)
ბანკის კოდი TBCBGE22	
ა/ა GE79TB7908436080100006	ტელ: 558 029 191
დირექტორი: თეიმურაზ ქუტაშვილი	ი/მ: მარიამ სომხიშვილი